წინა პუბლიკაცია, შეგახსენებთ, მთავრდებოდა სტალინის მკვეთრი პასუხით მოკავშირეთა მცდელობის გამო — საბჭოთა კავშირის ზურგს უკან მოლაპარაკებოდნენ ფაშისტებს დაზავების თაობაზე. ჩერჩილისადმი გაგზავნილ წერილში საბჭოთა ლიდერი ინგლისის პრემიერს აცნობებდა: „საბჭოთა მთავრობა მოცემულ საქმეში ხედავს არა გაუგებრობას, არამედ რალაც უარესს“.

ჩერჩილის პასუხში სეპარატული ნაბიჯი პრიმიტიულ დონეზე თავის მართლებას ჰკავდა, თითქოს ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ „ფელდმარშალ ალექსანდერის შტაბბინის ერთი ბრიტანელი და ერთი ამერიკელი ოფიცერის კონტაქტი გერმანულ გენერალთან, რომლის გვარია ვოლფი“, საკითხი კი ეხებოდა „კესელრინგის არმიის შესაძლო კაპიტულაციას...“

შემდეგ, თითქოს დასცინისო, ჩერჩილი წერდა: „თქვენი წარმომადგენლები დაუყოვნებლივ იყვნენ მინველნი შეხვედრებზე, რომლის მოწყობას ვცდილობდით იტალიაში. იგი რომ შემდგარიყო და თქვენი წარმომადგენლები ჩამოსულიყვნენ, ისინი თითოეულ იქ წარმოთქმულ სიტყვას გაიგონებდნენ“.

საკუთარი ყურით (!). ვოლფთან მოლაპარაკების ამ ცრუ სურათს რომ ხატავდა, ჩერჩილი იმედოვნებდა, რომ სტალინმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. კვლავ და კვლავ ვერ შეაფასა ადრესატი, საქმეში მისი ჩახედულების სიღრმე და მასშტაბურობა და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მის ტყუილ კვლავ მოკლე ფეხები აღმოაჩნდა, ჩანაფიქრი მხოლოდ იქნა. ჩერჩილი უსამართლოდ შეურაცხყოფილი ადამიანის

პოზა მიიღო, არ დამალა, რომ აღმოკლებულია სტალინის საყვედურებით და გამოთქვა ვარაუდი: „შესაძლებელია ეს თხოვნა (!) მოლაპარაკების თაობაზე, რომლითაც გერმანელმა გენერალმა ვოლფმა მოგვმართა, ერთ-ერთი იყო იმ მცდელობათაგან, რომელსაც მტერი აწყობს ხოლმე მოკავშირეთა შორის უნდობლობის დასათესად... თუ გერმანელებს განზრახული ჰქონდათ ჩვენ შორის უთანხმოების დათესვა, მათ დროებით მიაღწიეს ამას“.

ელემენტარულია, რომ მტრის მცდელობის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური პასუხი იქნებოდა, თუ ამ მცდელობის შესახებ მოსკოვს დაუყოვნებლივ აცნობდნენ.

მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდარა. რუხველტისადმი გაგზავნილ წერილში (ასლი ჩერჩილს გაეგზავნა) სტალინი დაასაბუთა, როგორც თავად განაცხადა, მოცემულ საკითხზე რუსეთის თვალსაზრისი, გასაგები და ნათელი: მოკავშირეებს ერთმანეთისგან დასამალი არაფერი უნდა ჰქონდეთ მტერთან მოლაპარაკების შემთხვევაში. მხოლოდ ასე შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა ერთმანეთის მიმართ.

„მე მესმის, — წერდა სტალინი, — რომ სეპარატული მოლაპარაკება ინგლის-ამერიკის ჯარებს გარკვეულ პლიუსებს მისცემს... რადგან ინგლის-ამერიკის ჯარებს შეუძლებათ გერმანიის სიღრმეში წაიწიონ გერმანელების მხრიდან თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, მაგრამ რატომ უნდა დაგეფარათ ეს რუსებისთვის და რატომ არ გააფრთხილეთ ამის თაობაზე თქვენი მოკავშირეები — რუსები?“

მან დაასახელა მაგალითი,

რომელიც ადასტურებდა ფაშისტების არაადეკვატურ დამოკიდებულებას თავიანთი მოწინააღმდეგეების მიმართ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია. **სტალინი წერდა, რომ „გერმანელები გააფრთხილეს რუსებს რომელიმე ნაკლებად ცნობილი სადგურის — ზემლანინცასთვის ბრძოლაში, რომელიც მათ ისევე სჭირდებოდათ, როგორც გარდაცვლილს ცხელი საფეხები, მაგრამ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე გერმანიის ცენტრში თმობენ ისეთ მნიშვნელოვან ქაღალეებს, როგორცაა ოსნაბლიუკი, მანჰეიმი, კასელი. დამეთანხმებით, რომ გერმანელთა ასეთი მოქმედება უცნაურად უმეტესია და გაუგებარი“.**

ჩერჩილი, ცხადია, განაწყენდა, აღშოთდა, რადგან მიიჩნია, რომ მას ტყუილი დასწამეს, ხოლო მისი მოქცევა სტალინთან ურთიერთობაში უხინჯოა. საბჭოთა ლიდერმა საჭიროდ ჩათვალა, ეპასუხა მისთვის დეტალურად, რასაც იგი იშვიათად აკეთებდა.

„რაც შეეხება ჩემს ინფორმაციებს, — წერდა სტალინი, — გარწმუნებთ, რომ ისინი ძალზე პატიოსანი და თავმდაბალი ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ნესიერად ასრულებენ და არც ფიქრობენ, შეურაცხყონ ვინმე. ეს ადამიანები მრავალგზის შეგვიმონებია საქმეში. თავად განსაჯეთ: ამა წლის თებერვალში გენერალმა მარშალმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა მიანოდა საბჭოთა ჯარების გენერალურ შტაბს, რითაც მის ხელთ არსებული მონაცემებით რუსებს აფრთხილებდა, რომ მარტში გერმანელთა ორი სერიოზული კონტრდარტყმა

იყო მოსალოდნელი აღმოსავლეთის ფრონტზე, რომელთაგან ერთი მიმართული იქნებოდა პომერანიიდან ტორნზე, მეორე კი — მორავსკა ოსტრავის რაიონიდან — ლოძე. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ გერმანელთა მთავარი დარტყმა მზადდებოდა და განხორციელდა კიდეც არა ზემოთ აღნიშნულ რაიონებზე, არამედ სრულიად სხვაგან, სახელდობრ, ბალატონის ტბის რაიონში, ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით. როგორც ახლა ცნობილია, ამ რაიონში გერმანელებმა 35 დივიზიამდე შეაგროვეს, მათ შორის, — 11 სატანკო დივიზია. ეს იყო ომის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარტყმა სატანკო ძალების ასეთი დიდი კონცენტრაციით. მარშალმა ტოლბუხინმა შეძლო თავიდან აეცილებია და შემდეგ თანდათან გაენადგურებია გერმანელები, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ჩემმა ინფორმატორებმა, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გახსნეს გერმანელთა მთავარი დარტყმის ეს გეგმა...“

მნიშვნელოვანია, რომ სტალინი ინგლისელებს წინასწარ განზრახულ დეზინფორმაციაში ბრალს არ დებს. თუმცა სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ინგლისისა და აშშ-ის უმაღლესი საგარეო დაზვერვის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა (ვთქვათ, იმავე დასახელებს) შეგნებულად მიაწოდეს მარშალს მცდარი ცნობები, რათა შეეჩერებიათ საბჭოთა ჯარების წინსვლა. დღევანდელი გადასახედიდან ასეთი ვარაუდი არცთუ უსაფუძვლო ჩანს.

საეჭვოა, ჩერჩილს არ ესმოდა, რომ მისი ეშმაკობა, რომელიც ინგლის-ამერიკის გერმანელებთან ურთიერთობას ეხ-

ებოდა, სტალინის მიერ მთლიანად ამოხსნილია. პოლონეთის საკითხშიც იძულებული გახდა, თავი დამარცხებულად ეცნო. რა თქმა უნდა, სტალინს აქ უდავო უპირატესობა თუნდაც იმიტომ ჰქონდა, რომ პოლონეთი გაათავისუფლა ნიუნბერგის დროს ფრონტიდან დაბრუნებულ გეგელს, რომელიც ხანძრის შუქზე თავისი სამინისტროს კიბის საფეხურებზე ადიოდა, მოახსენეს, რომ გარდაიცვალა ამერიკის პრეზიდენტი რუხველტი. „იგი ექსტაზში იყო, — იხსენებდა შემდგომ ერთ-ერთი ოფიცერი და იმავე წამს გასცა ბრძანება, დაეკავშირებინათ ფიურერის ბუნკერთან: „ჩემო ფიურერო, გილოცავთ, — ჩაჰყვირა ყურმილს, — ვარსკვლავები წინასწარმეტყველებენ, რომ აპრილის მეორე ნახევარი უდიდესი გარდატეხის მომენტს მოგვეიტანს. დღეს პარასკევაა — 13 აპრილი. ეს გარდატეხის მომენტია!“ რამდენიმე საათის განმავლობაში ბუნკერში ხმაურიანი საზეიმო განწყობილება სუფევდა...“

ჩერჩილს არ დარჩა რაიმე არტუქვანტი პოლონეთში სტალინის პოლიტიკის საწინააღმდეგო. საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოს, რომელიც ინგლისსაც და, მით უფრო, ამერიკასაც ფრიად დაშორებული იყო. ამასთან, ბრიტანეთს საშუალება მიეცა, თავისი გავლენა განეგრძო საბერძნეთზე. და, მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილი ყოველთვის აცხადებდა, „დასავლეთის დემოკრატიების“ წარმომადგენელი ვარო, ინგლისელების მიერ საბერძნეთში სახალხო მოძრაობის ჩახშობამ გამოაშკარავა, რა ფასი აქვს ამგვარ „სპეციფიკურ“ დემოკრატიას.

ამ ხასიათის საკითხები აშშ-ისთვის აქტუალური არ იყო, იმიტომ რუხველტს საჭიროდ არ მიიჩნდა, აქტიურად ჩარეულიყო ევროპის საქმეებში. ჯანმრთელობა სწრაფად უარესდებოდა და 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა. აშშ ახალ პრეზიდენტთან — ტრუმენთან ანტისაბჭოთა საფუძველზე დაახლოება ჩერჩილს არ გასჭირვებია.

რუხველტის უეჭვად

რუხველტის სიკვდილმა ბერლინში სერიოზული რეაქცია გამოიწვია. გეგელსმა მოიმეგლია ასტროლოგია და და-

ინყო ბედის შემობრუნების ნიშნის ძებნა: ვარსკვლავები აპრილის მეორე ნახევარში დიდად გარდატეხას წინასწარმეტყველებდნენ. „და აი, — წერს გერმანელი ისტორიკოსი ი. ფესტი, — საჭაერო თავდასხმის დროს ფრონტიდან დაბრუნებულ გეგელს, რომელიც ხანძრის შუქზე თავისი სამინისტროს კიბის საფეხურებზე ადიოდა, მოახსენეს, რომ გარდაიცვალა ამერიკის პრეზიდენტი რუხველტი. „იგი ექსტაზში იყო, — იხსენებდა შემდგომ ერთ-ერთი ოფიცერი და იმავე წამს გასცა ბრძანება, დაეკავშირებინათ ფიურერის ბუნკერთან: „ჩემო ფიურერო, გილოცავთ, — ჩაჰყვირა ყურმილს, — ვარსკვლავები წინასწარმეტყველებენ, რომ აპრილის მეორე ნახევარი უდიდესი გარდატეხის მომენტს მოგვეიტანს. დღეს პარასკევაა — 13 აპრილი. ეს გარდატეხის მომენტია!“ რამდენიმე საათის განმავლობაში ბუნკერში ხმაურიანი საზეიმო განწყობილება სუფევდა...“

პიტლერსა და გეგელსს სჯეროდათ, რომ მოკავშირეთა ბანაკში ბზარი გაჩნდებოდა. მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი და იდეოლოგი თავის დღიურში წერდა:

„საერთოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ კრემლის ველიკოდერჟაველი პოლიტიკოს უფრო და უფრო აწუხებს ხელმძღვანელ ნრეებს ლონდონსა და ვაშინგტონში. ლონდონში უკვე აცხადებენ, რომ, თუ კრემლი განაგრძობს ასეთ პოლიტიკას, მსოფლიოს საშინელი პერსპექტივა დაემუქრება, რომელიც სრულად დაჩრდილოებს სამხედრო წარმატებებს...“

ამასთან, გეგელსი აღნიშნავდა: „ბრიტანეთის პოლიტიკა, რომელსაც ჩერჩილი წარმართავს, გამო-




დაიქმნა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ ერთ მსოფლიო რეალურად მიმოხილვით მსახურე შვილების რაოდენობის შეზღუდვის ხარჯზე მოსახლეობა შემცირდება. დაავადებები, ომები, შიმშილობები იზრუნებს „ჭარბ მოსახლეობაზე“, სანამ მოსახლეობის რაოდენობა არ დავა იმ ერთ მილიარდ ადამიანზე, რომელიც გამოადგება გაბატონებულ კლასს. არ იარსებებს საშუალო ფენა, იქნება მხოლოდ გაბატონებული კლასი და მსახურები. იქნება ერთიანი კანონები, მსოფლიო სასამართლოების ლეგალური სისტემა იხელმძღვანელებს უნიფიცირებული კოდექსით.

«300-თა კომიტეტის» მიზნები — რა არის ჩვენ წინაშე?



ნაწყობი დოქტორ ჯონ კოლმანის ნიგონიდან «შეთქმულთა იერარქია: 300-თა კომიტეტი»

ხელი შეეწყობა პორნოგრაფიის გავრცელებას, იგი სავალდებულო საკითხავი გახდება ყველა სკოლაში

რა არის ჩვენ წინაშე? საერთო მიზნებისა და იდეების მქონე ადამიანთა სუსტი კავშირი? — რა თქმა უნდა, არა. „300-თა კომიტეტში, რომელსაც 150-წლიანი ისტორია აქვს, გაერთიანებული არიან დიდი მოაზროვნეები, რომელთაც სურთ, შექმნან სრული ტოტალიტარული, აბსოლუტურად კონტროლირებადი „ახალი“ საზოგადოება (თუმცა ეს სულაც არ არის ახალი).

კომიტეტი ისრაფელის, შექმნას ერთი მსოფლიო მთავრობა, რომელიც კარგად არის აღწერილი ამ კომიტეტის ერთ-ერთი წევრის — უელსის ნაშრომში: „ღია შეთქმულება (THE OPEN CONSPIRACY): გზავნი მსოფლიო რეალურ-ლუციფერის“. ეს იყო გაბედული ზრახვების გაბედული გაცხადება, მაგრამ რეალურად არც ისე გაბედული, ვინაიდან უელსს, წარჩინებულებსა და იმ ადამიანებს გარდა, რომელთაც დღეს „შინაურებს“ (ინსაიდერებს) ვუწოდებთ, არავინ დაუფერა. უელსმა აი რა შემოგვთავაზა: „ღია შეთქმულება, მჯერა, პირველად წარმოჩინდება, როგორც ინტელექტუალთა და მდიდართა შეგნებული ორგანიზაცია, ასევე, როგორც მკაფიო სოციალური და პოლიტიკური მიზნების მქონე მოძრაობა, რომელიც ამკარად უგულვებელყოფს პოლიტიკური კონტროლის არსებულ აპარატს ან სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებს მას, როგორც უღმირვენლო იარაღს. ის წარმოადგენს ქვეშაირებ მოძრაობას გარკვეული მიმართულებით, რომელიც მალე გაამოქანავებს იმ საერთო მიზნებს, რომლისკენც მასში გაერთიანებული

ადამიანები ისრაფელიან. ისინი ყველა საშუალებებით ზეგავლენას მოახდენენ და გააკონტროლებენ ე. წ. მთავრობას“.

ორუელის „1984“-ის მსგავსად, უელსის ნაშრომიც მონოდედა ერთი მსოფლიო მთავრობის შექმნისკენ. „300-თა კომიტეტის“ საბოლოო მიზანი და ამოცანაა: შეიქმნას ერთი მსოფლიო მთავრობა ერთიანი ფულადი სისტემით და არა არჩეული სტრუქტურით. ის, ვინც კომიტეტის წევრებს შორის გამორჩეული იქნება, იმუშავებს შუა საუკუნეების ფეოდალური სისტემის დასაბრუნებლად. იარსებებს მხოლოდ „ერთი მსოფლიო მოსახლეობა“. ამ ერთ მსოფლიო რეალურად ში თითოეულ ოჯახზე შვილების რაოდენობის შეზღუდვის ხარჯზე მოსახლეობა შემცირდება. დაავადებები, ომები, შიმშილობები იზრუნებს „ჭარბ მოსახლეობაზე“, სანამ მოსახლეობის რაოდენობა არ დავა იმ ერთ მილიარდ ადამიანზე, რომელიც გამოადგება გაბატონებულ კლასს. არ იარსებებს საშუალო ფენა, იქნება მხოლოდ გაბატონებული კლასი და მსახურები. იქნება

ერთიანი კანონები, მსოფლიო სასამართლოების ლეგალური სისტემა იხელმძღვანელებს უნიფიცირებული კოდექსით. ყველა იმ ყოფილ ქვეყანაში, სადაც ეროვნული საზღვრები აღარ იარსებებს, კანონს დაიცავს და განახორციელებს ერთი მსოფლიო მთავრობის პოლიცია და ერთიანი სამხედრო ძალა. ერთიანი სისტემა იარსებებს შეძლებული სახელმწიფოს ბაზაზე. ისინი, ვინც ერთი მსოფლიო მთავრობის მორჩილი და ხელშეწყობენ, ისინი იქნებიან, სიცოცხლით დაჯილდოვდებიან. ურჩები და გამომხეობები იქნებიან, სიცოცხლით დაჯილდოვდებიან. ასე რომ, ისინი ნებისმიერი პირისთვის სამიზნე გახდებიან. აიკრძალება პირადი ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა. ნებადართული იქნება მხოლოდ ერთი რელიგია, რომელიც დაექვემდებარება ერთი მსოფლიო მთავრობის ეკლესიას, რომელიც არსებობს 1920 წლიდან. გლობალიზაციაში, სატანოში, ლუციფერის თაყვანისცემა და გრძელდება ალიანტიული იქნება ერთი მსოფლიო მთავრობის ლეგიტიმურ სასწავლო პროგრამად. აღარ იქნება კერძო და საეკლესიო სკოლები. ძრისტიანული იქნება მთავარი რელიგიური იდეოლოგია. იქნება ერთიანი კანონები და ერთიანი კანონები. ძრისტიანობა იქნება ერთიანი მსოფლიო მთავრობის რელიგიური იდეოლოგია. იქნება ერთიანი კანონები და ერთიანი კანონები. ძრისტიანობა იქნება ერთიანი მსოფლიო მთავრობის რელიგიური იდეოლოგია.

ნებადართული იქნება მხოლოდ ერთი რელიგია, რომელიც დაექვემდებარება ერთი მსოფლიო მთავრობის ეკლესიას, რომელიც არსებობს 1920 წლიდან. გლობალიზაციაში, სატანოში, ლუციფერის თაყვანისცემა და გრძელდება ალიანტიული იქნება ერთი მსოფლიო მთავრობის ლეგიტიმურ სასწავლო პროგრამად. აღარ იქნება კერძო და საეკლესიო სკოლები. ძრისტიანული იქნება მთავარი რელიგიური იდეოლოგია. იქნება ერთიანი კანონები და ერთიანი კანონები. ძრისტიანობა იქნება ერთიანი მსოფლიო მთავრობის რელიგიური იდეოლოგია.

რილოგითი თუ ზაპირი ცნობებიდან და ღმერთის სახურებიდან (წირვა-ლოცვიდან). იესოს მიეცემა ჩვეულებრივი ადამიანის სტატუსი და მისი თაყვანისცემა აიკრძალება. ამგვარად, დაიწყება ანტიქრისტიანული ბატონობა. კიდევ ვიმეორებთ, რომ ასეთი ვითარებაში, ბოლოს „The Da Vinci Code“ იქნება შემოღებული. ნახალისდება გნოსტიციზმი, იესო ქრისტეს სტატუსი ჩვეულებრივი ადამიანისა და გაუთანაბრდება.

ასეთ სახელმწიფოში, რომელშიც არ იქნება პიროვნული თავისუფლება ან თავისუფლების დაცვის რაიმე კონცეფცია, აღარ იარსებებს რესპუბლიკანიზმი, სუვერენიტეტი ან ადამიანის უფლებები. გაუქმდება შეერთებული შტატების კონსტიტუცია და მისი კითხვა აიკრძალება. ქორწინება კანონგარეშედ გამოცხადდება, ოჯახი, ტრადიციული გაგებით, აღარ იარსებებს. ბავშვებს ადრეულ ასაკიდან მოაცილებენ მშობლებს და აღზრდიან სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ, სახელმწიფო საკუთრებაში.

ნებადართული იქნება თავისუფალი სექსი. პირი 20 წლის ასაკიდან, რომელიც ნების არ დემონსტრირება თუნდაც ერთჯერ, უმკაცრესად დაისჯება.

ქალებს ასწავლიან მუცლის მოშლას. თუკი ორმეტილიანი ქალი დაორსულდება, ნაიყვანენ კლინიკაში, რათა იძულებით გაუკეთონ აბორტი და სტერილიზაცია. ხელი შეეწყობა პორნოგრაფიის გავრცელებას, იგი სავალდებულო საკითხავი გახდება ყველა სკოლაში. პორნოგრაფიას ჰომოსექსუალებზე და ლესბოსელებზე უჩვენებენ თეატრებსა და კინოთეატრებში. გამომხეველები ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება აღარ ჩაითვლება დანაშაულად. ერთ პიროვნებაზე ნორმით დაწესებული ნარკოტიკული ნივთიერებების ყიდვა შესაძლებელი იქნება ყველა მაღაზიაში მთელ მსოფლიოში. გუნება-განწყობილების მართვის ნარკოტიკები გავრცელდება და გამოყენებულ იქნება „სამკურნალოდ“, როდესაც დაუმორჩილებლობა ან უწესრიგო ქცევა

გამოაშკარავდება. ასეთ ნარკოტიკული ნივთიერებების გაყიდვებში ან წყალსაცავებში ისე, რომ ამის შესახებ ხალხს არაფერი ეცოდინება. ერთი მსოფლიო მთავრობის მოსამსახურეები გახსნიან ნარკოტიკების ბარებს, რომლებშიც დამონებული კლასი (slave-class) შეძლებს თავისუფალი დროის გატარებას. ასეთი ხერხით არაპიტიარულ მხარს დაიხვეწინებენ ცხოველების დონეზე, მათ არ ეძინებათ რაიმე სურვილები, იქნებათ ადვილად მართვადი.

ეკონომიკურ სისტემას გაბატონებული კლასი გააკონტროლებს, მონების სამუშაო ბანაკებს ექნებათ იმდენი საკვები, ნივთი და მოსახურება, რამდენიც საჭიროა არსებობისთვის. მთელი სიმდიდრე თავს მოიყრის „300-თა კომიტეტის“ ელიტარული წევრების ხელში. ინგლისურიდან თარგმანით: DR. John Coleman, The Conspirator's Hierarchy: The Committee of 300, Las Vegas, NY, 89109, USA, p. 305-308.

ლიბიის ხელისუფლებამ სისხლის საგარტლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს ბრალი წაუყენა

ლიბიის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს — მელინდა ტელიორს ბრალი წაუყენა მუამარ კადაფის ვაჟის — სეიფ ალი-ისლამისთვის საჯარო ვიდეოკამერისა და დაშიფრული წერილის გადაცემის გამო. ამის შესახებ ლიბიის მთავრობამ გაეროს უშიშროების საბჭოს აცნობა.



ლიბიის ხელისუფლების განცხადებით, ტელიორი ფაქტზე დააკავებს სეიფ ალი-ისლამისთან შეხვედრისას ადგილობრივ ციხეში. მან კადაფის ვაჟს გადასცა მისი მრჩევლის — მოჰამედ ისმაილის და ლიბიის დაზვერვის ყოფილი უფროსის — აბდულა ალ-სენუსის წერილი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც „ლიბიის ეროვნულ უსაფრთხოებას აყენებს ზიანს“.

ტელიორმა, აგრეთვე, ორი ვიდეოკამერის გადაცემა სცადა, რომელთაგან ერთი საწერ კალამში იყო ჩამონტაჟებული, ხოლო მეორე — საათში. ლიბიის ხელისუფლების განცხადებით, მელინდა ტელიორმა დაარღვია რომორც ლიბიის მართლმსაჯულების წესები, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მორალური და პროფესიული ნორმები.

გერმანელმა კალიგოური ნივით წინადაცვითა კანონგარეშად გამოაცხადეს

კიოლნის მიწის სასამართლომ რელიგიური ნივით ბიჭების წინადაცვითა სისხლის სამართლის დანაშაულს გაუთანაბრა. მოსამართლეთა აზრით, არც მშობლის უფლება, არც აღმსარებლობის თავისუფლება, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ბავშვის მიმართ ამგვარი მოქმედებისთვის.

გერმანიაში ყოველ წელს ათასობით ბიჭს უტარდება წინადაცვითა ერთი წლის ასაკამდე. ქვეყნის მუსლიმანური და ებრაული ორგანიზაციები დღემდე მწვავედ აკრიტიკებდნენ ხელისუფლების მცდელობას, აეკრძალა წინადაცვითა, რასაც ისინი საკუთარი აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევენ. კიოლნის სასამართლოს ვერდიქტის შემდეგ არც ერთს კომენტარი არ გაუკეთებია. არ არის გამორიცხული, რომ ეს ვერდიქტი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს.

ამგვარი გადაწყვეტილება პირველი პრეცედენტიანი გერმანიის სასამართლო სისტემისთვის, როცა რელიგიური ან ალ-ისლამთან დაკავშირებული დანაშაულად გამოცხადდა. ეს ვერდიქტი, პირველ რიგში, საექიმო პრაქტიკაზე აისახება, რადგან ამ ოპერაციის ჩატარება სამედიცინო ჩვენების გარეშე დაისჯება, როგორც სხეულის მიძიმება და ზიანების მიყენება.



კიოლნის სასამართლომ მუსლიმანი ექიმის საქმე განიხილა, რომელმაც 4 წლის ბიჭს, მშობლების თხოვნით, წინადაცვითა ჩაუტარა ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ ბავშვს სისხლდენა დაეწყო



ნსტორია logo with globe and website address www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნანი ჭანიშვილი, ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს კვლევითი და სასწავლო ცენტრის „ენა, ლოგიკა და მეტყველება“ დირექტორი

(გამომხატველთა შინაგარე მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურაში)

ფსიქოლოგის დისკოს ნარნარის გაშიფვრა ბიკვაშილავას მიერ

როგორც ბიბლიაში წერია, ადამიანი ხშირად უყურებს, მაგრამ ვერ ხედავს... ისმენს, მაგრამ არ ესმის... ჩვენ გარშემო უამრავი რამ არსებობს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რადგან „ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს...“ რაც ჩვენ ვერ დავინახებთ, ის სხვებმა დაინახეს და გაიგონეს... ვინაიდან, „რაცა ღმერთსა არა სწადადეს, არა საქმე არ იქმნების“.

ალბათ, განგების ნება იყო, რომ სწორედ ჩვენს დროში ჩვენს ქვეყანაში მოხდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, ახალგაზრდა მათემატიკოსს — გია კვაშილავას ეკუთვნის. ეს აღმოჩენა მდგომარეობს შემდეგში: ამოკითხულია მსოფლიოს უძველესი „ბეჭდვითი“ დოკუმენტი ფესტოსის დისკოს ნარნარა და გამოთქმულია სარნ-ნარნოს მოსაზრება, რომ იგი შექმნილია პროტო-ქართულურ (კოლხურ) ენაზე (იხ. კვაშილავა 2008, 202-272).

რამ 20 წლის მანძილზე მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ენათმეცნიერება, რამაც შესაძლებლობა მისცა, ფესტოსის დისკოზე დაბეჭდილი ტექსტი ეკვლია ლინგვისტური კუთხით. მიღებულია განსაკუთრებით საინტერესო შედეგები: დასტურდება თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ჰიპოთეზა პროტო-ქართულური ენობრივი სისტემისა და ელემენტების სტრუქტურის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციაც მათ მოახდინეს თავის ფუნდამენტალურ და რევოლუციურ ნაშრომში „სონანტო სისტემა და აბალაუტი ქართულ ენებში“ (თბილისი, 1965);



ამ აღმოჩენამ ბიკვაშილავას მსოფლიოს მეცნიერების თვალში ნიკო მარის გვირგვინი დააყენა და მათ ერთად მოიხსენიებენ, რადგანაც ლაპარაკია ქართულ ენაზე მისი კვლევის ხელშეწყობის შესახებ. (იხ. Journal of Linguistic Anthropology, Vol. 21, Issue 1, 2011, 78-98. American Anthropological Association. აშშ).

გია კვაშილავას მიერ გაკეთებული ფართო და ღრმა ისტორიული და ტიპოლოგიური ანალიზი ფესტოსის დისკოზე დაბეჭდილი სხვადასხვა ნიშნისა (მაგ., „ცულის“, „ვარდულისა“ და სხვა ნიშნების. იხ. კვაშილავა 2009, 2010) ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტი პროტო-ქართულურ (კოლხურ) ენასა და სხვა ენებს შორის, პროტო-ქართულურ (კოლხურ) კულტურასა და სხვა კულტურებს შორის...

ბიკვაშილავას მრავალმხრივი, დაუდასტურებელი და მაღალკოფიციენციური კვლევის შედეგად დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი კვლევა 2009, 2010) ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტი პროტო-ქართულურ (კოლხურ) ენასა და სხვა ენებს შორის, პროტო-ქართულურ (კოლხურ) კულტურასა და სხვა კულტურებს შორის...

ერთ-ერთი მონოგრაფია „Stones that Speak“ — „ქვები, რომლებიც მეტყველებენ“, რომელიც ინგლისში — კემბრიჯში გამოცემული 2010 წელს და რომლის ავტორია რობერტ მორიტი, თითქმის მთლიანად ეძღვნება გია კვაშილავას ამ გასაოცარ აღმოჩენას. მონოგრაფიის ავტორი იმდენად ალფრთვანებულია გია კვაშილავას ამ ფუნდამენტური კვლევით, რომ მონოგრაფიაში აქვეყნებს ბატონი გიას ბიოგრაფიასა და სამ სურათს, რათა მსოფლიომ დაინახოს კაცი, რომელსაც ნილად ხვდა პატივი, შეეცვალა და შეეცვლა კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია ახალი ხედვით.

ამ სტატიაში არის ასეთი პარაგრაფი: „ნიკო მარის და ლინგვისტურად დადასტურებული ქართული სანაწილები“ (Niko Marr and Search for Linguistically Proven Georgian Origins“), სადაც წერია შემდეგი რამე:

„ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევები არქაული რეფერენციალური ენისა ნიკო მარისა და გია კვაშილავას სტილიში, ერთის მხრივ, და მობილიზაცია ლინგვისტურად არადეტერმინირებული ავანგარდისტული ესთეტიკისა, მეორე მხრივ, არის გზა, რომელიც ქართული ტრადიციული სიმღერების არარეფერენციალური ტექსტები აღიქმება როგორც ინდექსი კულტურული განსხვავებულობის თანამედროვე ერაში“ („Historical-philological investigations into archaic referentially ambiguous language in the manner of Niko Marr and Gia Kvasilava on the one hand, and the mobilization of the linguistically indeterminate in pursuit of avantgarde aesthetics on the other, are the ways in which the non-referential texts of Georgian traditional song have been appropriated as an index of cultural distinction throughout the modern era“).

ბიკვაშილავას აღმოჩენამ მსოფლიოს მეცნიერებს სხვაგვარად დაანახა ხელმთაშუა ზღვის არაბული ცივილიზაციების განვითარების ისტორია და ქართულ ენაზე მისი კვლევის ხელშეწყობის შესახებ. (იხ. Journal of Linguistic Anthropology, Vol. 21, Issue 1, 2011, 78-98. American Anthropological Association, 2011. აშშ).

დუბლინში გამოცემული ენციკლოპედია „ატლანტიკა“, რომლის ავტორია ტონი ო'კონელი (ცნობილი მეცნიერი და გამომცემელი, რომელიც 1943 წელს დაიბადა დუბლინში). ეს არის 504-გვერდიანი ფუნდამენტური ენციკლოპედია, რომელიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის შესახებ. ენციკლოპედიაში გამოყენებულია უაღრესად ვრცელი და სრული ბიბლიოგრაფია მითოლოგიური ცივილიზაციისაზე, ეგვიპტისა და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის არეალზე და მის ქვეყნებზე, წრილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და ცივილიზაციებზე, საბერძნეთსა და პონტოზე; ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციის ეპოქაზე; ძველი რომის იმპერიისა და ალექსანდრიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკებში არსებულ ცნობებზე, ფესტოსის დისკოსა და გია კვაშილავას სამეცნიერო მიღწევებზე.

ფესტოსის დისკოსა და მის გამოყვანას გია კვაშილავას მიერ ამ ენციკლოპედიაში ეძღვნება მთელი თავი (გვ. 331-332). ამ არაჩვეულებრივად საინტერესო ენციკლოპედიურ სტატიაში ვკითხულობთ, რომ „ქართულმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, რომლის კვლევის მიზანია განსაკუთრებით ვრცელ და ფართო ბიბლიოგრაფიის, შემოკვთავაზა ყველაზე მეტად მისაღები და რეალური დემონსტრაცია ფესტოსის დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტო-ქართულურ (კოლხურ) ენაზე და რომელიც დაბეჭდილია უნიკალური კოლხურ სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით“. ენციკლოპედიაში „ატლანტიკა“ გია კვაშილავას ნაშრომები რეკომენდირებულია როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მალაღობი კურსების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის და ამ დარგის მეცნიერებისათვის მთელ მსოფლიოში.

ამ საენციკლოპედიო სტატიაში განხილულია ფესტოსის დისკოს შესახებ არსებული თითქმის ყველა ჰიპოთეზა. აღნიშნულია, რომ ფესტოსის დისკო ინახება ირაკლიონის არქეოლოგიურ მუზეუმში, სადაც, აგრეთვე, ინახება კრეტაზე ნაპოვნი არკალოხორის ცული, რომელზეც აღბეჭდილი 15 ნიშანი, იდენტიფიცირებული როგორც A-ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებთან, ეთანადება ფესტოსის დისკოს მახასიათებლებს. აქვე აღნიშნულია, რომ სამ-ნუხაროდ, პროფესიონალი „wet blanket“-ის, ანუ ურეცხიონალი „ურნაშუნოს“ მიერ, დოქტორი ჯ. აიზენბერგის სახით, შეიტანილ იქნა ეჭვი ფესტოსის დისკოს ნამდვილობაში. აიზენბერგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფესტოსის დისკო შესაძლებელია ფალსიფიცირებული იყოს. საბერძნეთის მთავრობამ არ მისცა დისკოს ტესტირების უფლება იმ მიზეზით, რომ ის შეიძლება დაზიანებულიყო (რაც სრულიად შესაძლებელიყო) ან სულაც განადგურებულიყო ტესტირების პროცესში, ვინაიდან თიხის დისკო ძალიან ფაქიზია, სუსტი და მტვერვადი. საბერძნეთის მთავრობის სიბრძნემ გადაარჩინა ფესტოსის დისკო. ხოლო, რაც შეეხება ეჭვს მისი ფალსიფიცირებულობის შესახებ, ის უმაღლეს კვალიფიკაციის მქონე კვალიფიკაციის მქონე ემართება ყველა მცდარ მოსაზრებას.

ეს საენციკლოპედიო სტატია მთავრდება გია კვაშილავას დემონსტრირების შეფასებით, როგორც მალაღობი დონის სამეცნიერო კვლევისა და, როგორც ვთქვით, ამ ნაშრომის რეკომენდაციით სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის.

უნგრეთში გამოშვებული ურნალ „არგონავტიკაში“ და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წელს და რომლის ავტორია ცნობილი უნგრელი მეცნიერი ქსიზი სანდორი, „ზარმოდ და მრავალმხრივ არის გაშუქებული ბიკვაშილავას სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა ასპექტი და ნათლად ნაჩვენავი, რომ არაბული მათემატიკისა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შედეგად (1). „ცული“. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2009, 285-348. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N11. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 26-45.

3. კვაშილავა გ. 2009. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შედეგად (1). „ცული“. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2009, 285-348. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N11. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 78-102.

4. კვაშილავა გ. 2010. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2). „ვარდული“. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2010, 144-362. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N1, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011, 20-55, 5-43.

5. Morrill, R. D., 2010. Stones that Speak CAMBRIDGE SCHOLARS PUBLISHING, CAMBRIDGE, 2010.

6. Journal of Linguistic Anthropology. Vol. 21, Issue 1, 2011, 78-98. American Anthropological Association, 2011.

7. O'Connell, T., 2010. Atlantipedia. Original Writing, Dublin, 2010.

8. Sjndor, C., 2011. Az Argonautak Kolkhiszban. Virtus, 2011.

ბერძნეთი, Bhma Science, 18.01.2009). მისი აზრით, ქრეტიანობის და ქართულად — კოლხური, მხოლოდ კი არ გატარდა, არამედ იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰიპოთეზები...

დაიწვევთ ლიტერატურა

- 1. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. 1965. სონანტო სისტემა და აბალაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია.
- 2. კვაშილავა გ. 2008. კოლხური ოქროდამწერლობის ნიშნების — ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გამოყვანის შესახებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008, 202-308. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 26-45.
- 3. კვაშილავა გ. 2009. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შედეგად (1). „ცული“. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2009, 285-348. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N11. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 78-102.
- 4. კვაშილავა გ. 2010. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2). „ვარდული“. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2010, 144-362. სამეცნიერო ურნალი ქართველოლოგია, N1, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011, 20-55, 5-43.
- 5. Morrill, R. D., 2010. Stones that Speak CAMBRIDGE SCHOLARS PUBLISHING, CAMBRIDGE, 2010.
- 6. Journal of Linguistic Anthropology. Vol. 21, Issue 1, 2011, 78-98. American Anthropological Association, 2011.
- 7. O'Connell, T., 2010. Atlantipedia. Original Writing, Dublin, 2010.
- 8. Sjndor, C., 2011. Az Argonautak Kolkhiszban. Virtus, 2011.
- 9. Kafantaris, T., 2009. The Secret "Alphabet" of Phaistos. To Bhma Science. Lambrakis Publishing Group. Athens, 18 January, 2009 (ბერძნულ ენაზე).



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სილვია ბაჰუვი კომიდან გამოიყვანა

ადელის სიმღერამ 7 წლის გოგონა კომიდან გამოიყვანა. პატარა შარლოტა ნივი უფრო მდგომარეობაში 2011 წელს ტვინში სისხლის გაჟონვის გამო ჩავარდა. ექიმებმა მისი ოჯახის წევრებს უთხრეს, რომ დრო იყო, გოგონას გამოშვებოდნენ. შარლოტას დედამ გადაწყვიტა, შვილი უკანასკნელ გზაზე მისი საყვარელი სიმღერით — Rolling in the deep-ით გაეცილებია და პალატაში სიმღერა დაიწყო. უცნაურად გოგონას სახეზე ლიმილი დაეტყო. „ამის დაჯერება არ შემიძლო. ეს იყო პირველი, რაზეც შარლოტამ რეაგირება მოახდინა მას შემდეგ, რაც კომაში ჩავარდა. ექთანმა მითხრა, რომ კიდევ მემღერა, და ჩემმა ქალიშვილმა ისევ გაიღიმა“, — ამბობს შარლოტას დედა. ახლა შარლოტა თავს უკეთ გრძობს და მკურნალობას აგრძელებს.



მანათობელი ტბა

ავსტრალიაში არის უცნაური ტბა, რომელიც მუდამ ლურჯად ანათებს. ტბის უამრავ წყალმცენარეს შორის არის ერთი განსაკუთრებული, რომელიც თავის „საცხოვრებელს“ მსოფლიოში ყველაზე უცნაურ და გამორჩეულ ელფერს აძლევს. ამ სილამაზის ხილვა მხოლოდ ღამით შე-

იძლება. გარკვეული ქიმიური ნივთიერებების მოქმედებითა და ალმგზნები თვისებების საშუალებით ეს წყალმცენარე ლურჯად ანათებს. მართალია, მეცნიერებმა ეს მოვლენა მთლიანად ახსნეს და განმარტეს, მაგრამ ტბა მაინც მუდამ გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს მნახველებში.



6 წლის ბიზნესუენი

უელსში მცხოვრებმა 6 წლის მოლი პრაისმა ბიზნესი გააფართოვა. გოგონამ ტკბილეულის რიგით მესამე მაღაზია გახსნა. რა თქმა უნდა, საქმიანობაში პატარა მოლის დედა — ბეკი პრაისი ეხმარება, თუმცა ის აცხადებს, რომ ბიზნესის მართვა მთლიანად შეილს აბარია.

ეზს სთავაზობს, თითოეულ ახალ პროდუქტს მოლი დახლზე დადებამდე თავად სინჯავს. ეს ტაქტიკა ამართლებს, ვინაიდან მოლის მაღაზიებში ტკბილეულის მოყვარულთა ნამდვილი რიგები დგას. ერთ-ერთი ორიგინალური იდეა, რომელიც მოლის ბიზნესის გაუმჯობესებაში დაეხმარა, მაღაზიაში თერმომეტრის დამონტაჟება იყო. როდესაც ტემპერატურა ეცემა, მოლის ტკბილეულის მაღაზიაში ნაყინის ფასიც იკლებს, რაც მას კლიენტების მოზიდვაში ეხმარება.




მონასტერი ოკეანეში

Skellig Michael-ი, რაც ირლანდიურ ენაზე მაიკლის კლდე ნიშნავს, ფრიალო კლდეებიანი კუნძულია, რომელიც ატლანტის ოკეანეში მდებარეობს. მონასტერი კლდის მწვერვალზეა აგებული.

VII საუკუნეში კუნძულზე დააარსეს ქრისტიანი მონასტერი, რომელიც მომდევნო 600 წლის მანძილზე ირლანდიის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი იყო. მონასტერში ირლანდიელი ქრისტიანი ბერები ცხოვრობდნენ. ბერები ქვის „სკეპში“ ბინადრობდნენ.


დაახლოებით მე-12 საუკუნეში კლიმატის ცვლილებამ კლდეს დალი დაასვა; ოკეანეში გახშირებულმა გრიალმა, რომლებიც კუნძულს განადგურებდა ემუქრებოდა, ბერე-



სამყარო წვეთი

ფოტოგრაფი მარკუს რეჟელსი ასობით საათს ხარჯავს, რომ მისი ნამუშევარი სრულყოფილი იყოს. იგი ყველანაირად ცდილობს, ხელსაწერილი მომენტი მოკაზმოს და შეაქმნას შადევი. დროის უმეტეს ნაწილს ფოტოგრაფი ატარებს. რეჟელსი გერმანელია და სწორედ იქ ეწევა თავის საქმიანობას, ყველას შეუძლია ამის გაკეთება, მაგრამ ყველაზე კარგად ეს სწორედ მას გამოდის, ამიტომ-

მაცაა აღიარებული მსოფლიოში ერთ-ერთ ნამყვან ფოტოგრაფად. მისი შედეგები უბრალოდ გამოგნებელია. მის ნამუშევრებში ნახავთ სურათს, რომელზეც თითქოს დედამინა იმყოფება წყლის წვეთის ტყეობაში. სინამდვილეში სულ სხვანაირად არის საქმე, წყლის წვეთი, რომელიც წინა პლანზეა გადმოტანილი, ეფარება სურათს, რომელზეც დედამინაა გამოსახული და იქმნება ეფექტი, თითქოს ის წყლის წვეთის შიგთავსშია.





2 წლის კოვოი

პატარა კოვოი როისი გილი მხოლოდ 2 წლისაა. ის ავსტრალიაში ცხოვრობს და 6 წლის პონის დააჭენებს. როისი საკუთარი ოჯახის მეშვეობით შთამომავალია, რომელმაც საყვარელ საქმედ მხედრობა აირჩია. როგორც როისის მამა, რაიან გილი აცხადებს, დოლისადმი სიყვარული მის შვილს სისხლში აქვს და ამის გამო უბედნიერესი მამაა მსოფლიოში. «ცხენის ჭენება 5 წლიდან ვისწავლე. დედამისი, სტივისიც ცხენებზეა შეყვარებული. ჩვენი ოჯახი 200 ხბოსა და 300 ცხენს უვლის, ცხენებს დოლისთვის ვამზადებთ. რა გასაკვირია, რომ როისს ცხენები უყვარს, მის გარშემო სხვა სათამაშო არც არაფერია. როდესაც მას ცხენზე ვსვამთ, მინაზე ჩამოსვლა არ სურს», — ამბობს პატარა კოვოის მამა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

12-წლიანი უიფილობა



ინდოელი ირომ შარმილა ჩანუ, რომელსაც ადგილობრივები მანაპურის (შტატი ინდოეთში) რკინის ლედიც უწოდეს, 12 წელია პროტესტის ნიშნად შიმშილობს.

შარმილა მოითხოვს მანაპურის შტატიდან შეიარაღებული ძალების — AFSPA-ს გაყვანას. 1958 წლის აქტი სამხედროებს რეგიონში თარეშის უფლებას აძლევს; ამ აქტს საზოგადოე-

ბაში დიდი პროტესტი მოჰყვა. სამხედროებს რიგითი სამოქალაქო პირები, შესაძლოა, ტერორისტებად მიეჩნით და უმიზეზოდ დაეპატიმრებიან. ოფიციალური ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ეს აქტი ძალაში შევიდა, დაახლოებით 25 000 ადამიანი მოკლეს. ამ ბარბაროსობის შემყურე შარმილა საპროტესტო მოძრაობას შეუერთდა. ის მოხალისედ დადიოდა ინდოეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, რათა ძალადობის შეხებ ინფორმაცია შეეგროვებოდა. 2000 წლის 4 ნოემბერს კი გამოაცხადა შიმშილობა, რომელიც ან სიკვდილამდე გაგრძელდებოდა, ან ძალადობის შეწყვეტითა და AFSPA-ს ძალების უკან დახევით დასრულდებოდა. «ქუჩაში სისხლსა და გვამებს გვერდს ვერ ვუქცევდი. ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ პირადი არ იყო, ეს მთელი მანაპურის მოსახლეობის სახელით გადავკეთე. ეს სიმართლის, სიყვარულისა და მშვიდობის აქციაა», — ამბობს იგი. შიმშილობის დანაშაულებიდან 3 დღის შემდეგ ქალი სუიციდის მცდელობისთვის დააპატიმრეს, გადაიყვანეს საავადმყოფოში და ნეკროფანი დაუდგეს. შარმილა არ ჭამდა და არ სვამდა, მხოლოდ მშრალი ბამბით იხებდა კბილებს. ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ნივთიერებებს მას ნეკროფანით აწვდიან. პროტესტმა მისი ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა — მისი ძვლები მტვრევადაც გახდა. როგორც ჩანს, ინდოეთის მთავრობა შარმილას პროტესტით ვერ აღფრთოვანდა, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ შეუძლებელია აქტის ანულირება. შარმილა დღემდე განაგრძობს პოლიტიკურ პროტესტს. მას უამრავი გულშემატიკვარი ჰყავს.

კეთილშობილი ნორვეგია



ნორვეგიის სოფლებში არის მაღაზიები, რომლებშიც გამყიდველები არ არიან. ყველაფერი ძალიან მარტივია — იყიდით პროდუქტს, ჩააგდებთ ყულაბაში ფულს და თქვენვე აიღებთ ხურდას, რამდენიც გეკუთვნით. ვაჭრობის მომგებიანობა მთლიანად მყიდველების მიმართ ნდობასა და მათ პატიოსნებაზეა დამოკიდებული. იქ არავის არავინ და არაფერი უშობის ხელს, რომ აიღოს ზედმეტი საქონელი ან თუნდაც მთელი დღის ნავაჭრი ფული ჩაიჯიბოს. მაღაზიებში ამ ფულის სპეციალური ყულაბები პირდაპირ თაროებზე აწყვიან. მაღაზიები ძირითადად ფერმერებზეა გახსნილი. სწორედ ამ ფერმერებში მოჰყავთ პროდუქტი, რომელიც შემდეგ საგულდაგულად იფრთხილები, კილოგრამებისა და გრამების მიხედვით ფასოვდება და თაროებზე ლაგდება. ფასები ყველაფერს ზედვე აწერია. მყიდველი აირჩევს ყველაფერს, რაც სურს, მივა გადახდის თაროსთან, ჩაყრის ფულს ყულაბაში და ამოიღებს იქიდან იმდენ ხურდას, რამდენიც გეკუთვნის.

შეყვარებულების სიღი

გერმანიის ქალაქ კიოლნი, HOHENCOLERNIS სიღის მოაჯირზე, ათასობით სხვადასხვანაირი კლიტა მიგაგრებულია. ამ სიღს სიყვარულის სიღი დაარქვას, კლიტაების შავის მთვლანაჲ კი გავრცელება იტალიიდან ჰპოვა. იმ შეყვარებულთა კლიტებს კიდევადენ და კატაბდენ, რითაც ისინი თავისი სიყვარულისა და ერთგულების მარადიულობას უკითხავენ დამომსტრიკაბას. სიყვარულის კლიტების

ტრადიცია, დიდი ხანია, დამკვიდრდა, თუმცა არავითარი სარწმუნო წყარო არ არსებობს, მის წარმოშობაზე რომ მოგვითხრობდეს. ევროპაში სიყვარულის კლიტების დამზადება 2000 წლიდან დაიწყო, რუსეთში კი ამ ტრადიციისთვის სპეციალური სიღი ააგეს. სიყვარულის კლიტები ქალაქ კიოლნის მერიას თვალში არ მოუვიდა და მერს მათი მოშორებაც კი ჰქონდა განზრახული, თუმცა იძულებული გახდა, საზოგადოების აზრს დამორჩილებოდა და «კლიტე დაედო პირზე».



ჩინეთში იხვება ქუჩა გადაკეტას

ჩინეთის პროვინცია ჯეძიანში, მთავარ მაგისტრალურ ქუჩაზე, სადაც ჩვეულებრივ დღეებში მანქანები დაქრიან, იხვების ჯარი გამოჩნდა. ქუჩაზე მიაბიჯებდა 50 000 იხვი, რომლებმაც საგზაო მოძრაობა შეაჩერეს. სანახაობით გაოცებული მძღოლები და მგზავრები მანქანებიდან გადმოდიოდნენ და იხვებს ფოტოებს უღებდნენ. მწყემსს იხვები ფერმიდან გუბურისკენ მიჰყავდა. იხვები რეგულარულად დადიან გუბურაზე და 6 თვის განმავლობაში არც ერთი მათგანი არ დაკარგულა.



«კოლექტიური დეპრესია» საქართველოში

საქართველოს დიდხანს მიიჩნევენ დემოკრატიის მოდელად კავკასიის რესპუბლიკებს შორის, მაგრამ რუსეთთან კონფრონტაციის, ეთნიკური დაძაბულობისა და კორუფციის ზრდის გამო ქვეყნის ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა კვლავ კრიზისშია.

2003 წლის ნოემბერში ათასობით ადამიანი გამოვიდა თბილისის ქუჩებში არჩევნების გაყალბების გასაპროტესტებლად; ისინი ეღუარდნენ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნებზე. ამას «ვარდების რევოლუცია» და ხელისუფლებაში სახელმწიფოს მეთაურად ქარიზმატული ოპოზიციონერი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის მოსვლა მოჰყვა.

სააკაშვილი უკეთესი მომავლის იმედსა და დასავლეთთან დაახლოების სიმბოლოს წარმოადგენდა, — ამბობს ჟურნალისტი ერიკ ჰესლი, რომელიც რეგიონს განსაკუთრებით კარგად იცნობს. — რეჟიმის პირველ წლებში მან კორუფციასთან და ნეპოტიზმთან ომი გამოაცხადა, განახორციელა რა მნიშვნელოვანი რეფორმები ბიუროკრატიის კუთხით და ქვეყნის უსაფრთხოების ძალებში. კავკასიაში საქართველო დემოკრატიის მოდელად განიხილებოდა».

ახლა კი გარდამავალი პროცესი, რომელსაც შევიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და სხვადასხვა შევიცარული არასამთავრობო ორგანიზაცია დაეხმარა, როგორც ჩანს, ჩავარდა. კონფლიქტმა, სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეაზონალიზაციასთან, რომლებსაც მოსკოვი უჭერს მხარს, და აქედან გამომდინარე, დიპლომატიური ურთიერთობების კოლაფსმა რუსეთთან, სიტუაცია მხოლოდ გააუარესა.

პოსლი აცხადებს, რომ, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, კანონის უზენაესობამ იკლო და მოსახლეობაში რეჟიმით უკმაყოფილება გაიზარდა. «კორუფციამ ფეხი მოიკიდა უმალეს საფეხურებზე, მათ შორის იუსტიციის სისტემაშიც კი, და სიტუაცია, როგორც ჩანს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კიდევ უფრო გაუარესდება», — დასძინს ჟურნალისტი.

სოფლის მეურნეობა — საარსებო აუცილებლობა

საბჭოთა ეპოქაში საქართველო აყავავებულ რეგიონად იყო მიჩნეული, მაგრამ 1991 წლის შემდეგ მისი ეკონომიკა შეირყა და წარმოება ოთხჯერ შემცირდა. «ეს არის ქვეყანა, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ღარიბია და ყველაზე მეტად ის ერთგვარი კოლექტიური დეპრესიის მსხვერპლია».

სააკაშვილი თავის ლეგიტიმაციას კრემლთან პოლიტიკურ ოპონირებაზე აფუძნებს, თამაშობს რა პატრიოტულ გრძობებზე, — ამბობს ჰესლი. — თუმცა ეკონომიკა სერიოზული დამოკიდებულებების სფეროა. რუსეთი არ არის საქართველოს მხოლოდ მთავარი მიმწოდებელი და კლიენტი, არამედ იქ ცხოვრობს მისი დიასპორის დიდი ნაწილი, რაც სერიოზული ფინანსური რესურსია». საქართველოს აქტიუ-



რი მოსახლეობის მიმოხილვაში დეპრესიის ბარათი ცხოვრობს — დიდწილად ყოფილ საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით — რუსეთში.

ეს პარადოქსულ სიტუაციაა ქმნის, ამბობს ჰესლი. «საქართველო ვერ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, იყოს საომარ მდგომარეობაში ქვეყანასთან, რომელზეც დამოკიდებულია. ეს იგივეა, რომ შევიცარიამ ურთიერთობა განწყვიტოს გერმანიასთან... გასაგებია, რომ საბჭოთა დომინირების წლებში შემდეგ, საქართველოს სურს, საკუთარი გზით წავიდეს, მაგრამ დასაწყისიდანვე სააკაშვილმა გააზრებულად აგრესიული პოლიტიკა არჩია და პუტინს არცერთხელ არ უპასუხია მოწყალეობით».

შევიცარიის ჩართულობის წყალობით, რომელიც 2009 წლიდან დიპლომატიური შუამავლის როლშია, სიტუაციაში ერთგვარი «ტექნიკური გაუმჯობესება» შეიმჩნევა, განაცხადა ჰესლი. «შევიცარიელმა დიპლომატებმა გამჭვირვება და ორიგინალობა გამოიჩინეს და გვერდი აუარეს ამ ორი ქვეყნის პოზიციებს შორის სხვაობებს, განსაკუთრებით, რუსეთის მსოფლიო საეკონომიკური ორგანიზაციაში განხილვისას».

თუმცა, ჰესლის აზრით, ფუნდამენტურ პრობლემა მას თავად საბჭოთა დიპლომატიის წარმოადგენს, რომელსაც კრემლი სახიფათოდ და არასადასრულად მიიჩნევს, ადამიანად, რომელსაც სძიმს დაჭერა არ შეიძლება. ის, სავარაუდოდ, პუტინის შავ სიაშია და, თუ კი მას ხელახლა აირჩევენ 2013 წელს, საეჭვოა, ურთიერთობა ამ ორი ქვეყანას შორის გაუმჯობესდეს.

არასრულწლოვანი, რომელიც კალიან რეალურია

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი, სააკაშვილის ორი დიდი პრობლემა, კვლავ გადაუჭრელია. ამ სტრატეგიულ რეგიონებს, რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა კვლავ საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, დე-ფაქტო რუსეთი აკონტროლებს.

«ეს გაურკვევლობის ზონაა, — ამბობს ჯადი, რომლის World Vision-ი ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც გაეროს ორგანიზაციებთან ერთად მთელ ამ რეგიონში პროექტები აქვს. — გვიჩნია სოფელი მიტოვებულია; იმის დროს დაგბრუნებული უნდა იყოს არასადასრულად აღდგენილი და საბაზისო მომსახურების დეფიციტია».

წვიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკალო

| | |
|------------------------------|--------|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტალი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილიანი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზს თევდორე ბასილანას:

ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

შეხვედრებისთვის აფხაზეთი და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები მეზობელ სომხეთში ან აზერბაიჯანში მიემგზავრებიან. მათი შეხვედრების თემა არა ჩვეულებრივ კონკრეტული, არამედ ზოგადია და სამშვიდობო საკითხებს ეხება, რადგან მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მას აღარ სურს ეთნიკური კონფლიქტის გაგონება. «თუმცა აფხაზეთში ომის გამოცდილება ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ არის ახალი. — ომი დღემდე მათი ცხოვრების ნაწილია. ის გავლენას ახდენს ენაზე, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი აფხაზს და როგორ ხდებიან მომავალს».

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სიტუაციამ ისეთ ნერტილს მიიღწია, რომლიდანაც უკან დაბრუნება შეუძლებელია.

«საქართველომ ხელიდან გაუშვა გულბი-ეთნიკური რესპუბლიკის შექმნის შანსი, რომლის წყალობითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ერთგვარი ავტონომია ექნებოდათ. ახლა მათ ამ რესპუბლიკებთან ურთიერთობის მოგვარება მხოლოდ რუსეთის გზით შეუძლიათ, ეს კი დროს და ხელისუფლების ცვლილებას მოითხოვს», — ამბობს ჰესლი.

მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციები უახლოეს მომავალში კონფლიქტზე არ ფიქრობენ, მაგრამ ისინი სიფრთხილით ელოდებიან 2014 წელს, როდესაც სოქის ოლიმპიური თამაშები და საპრეზიდენტო არჩევნები იგეგმება. ამ დროს ტერიტორიულმა უთანხმოებამ, შესაძლოა, კვლავ თავი იჩინოს.

სტუფანიანა სამარმატარი
SwissInfo
25 ივნისი, 2012

საქართველო **ესტაბლიშმენტი** **ჩვენს სანტს**

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თანამშრომელი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894